წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის ოქმი №4

ქ.წალენჯიხა 2019 წლის 15 მარტი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 22 დეპუტატი: დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, დალი კვარაცხელია, ცოტნე მესხია, მანანა ჭანია, დავით ბელქანია, ასმათ კვარაცხელია, ვალერიანე კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, დათა კუკავა, თეა ხასაია, ელგუჯა მესხია,დათა აკობია, ირაკლი ხარჩილავა.

საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა სოლომონ სარია და გიორგი აბულაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი ბესიკ ფარცვანია, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 13: 05 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგი:

1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: **თეა სარია**, მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

2. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: **ჯემალ ბელქანია**, მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის
იურიდიული განყოფილების უფროსი

3. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ბიუსტის განთავსების თაობაზე

მომხსენებელი: **მანანა ჭანია** -საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: 1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 10)

მოისმინეს: 2. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მერიის იურიდიული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ჯემალ ბელქანიამ.

საკრებულოს წევრებმა (დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, მანანა ჭანია, დავით ბელქანია, დალი კვარაცხელია, დათა კუკავა, გოჩა ლიპარტია) აღნიშნეს რომ ქ. წალენჯიხის და ქ.ჯვარის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში, ასევე ჯგალის, ფახულანის, საკითხთან დაკავშირებით მერიის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეუსაბამობაა სოფლის კრებებზე შედგენილ ოქმებსა და მერიის მიერ ცხრილური სახით წარმოდგენილ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტებისჩამონათვალს შორის.

მუნიციპალიტეტის მერმა ბესიკ ფარცვანიამ საკრებულოს წევრებს წარუდგინა საჯარო შეხვედრების ოქმი, სადაც სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტები პრიორიტეტის მიხედვით იყო დალაგებული და ცხრილში იყო ტექნიკური ხარვეზი გაპარული.

საკითხის მოუმზადებლობის გამო საკრებულოს თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ წამოაყენა წინადადება საკითხის განხილვის გადადების თაობაზე და შესაბამის სამსახურებს დაავალა უმოკლეს დროში ცხრილის საჯარო შეხვედრების ოქმთან შესაბამისობაში მოყვანა. რაზეც საკრებულო ერთხმად დაეთანხმა.

მოისმინეს 3. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ბიუსტის განთავსების თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მანანა ჭანიამ .

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 8)

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე **თემურ ღვინჯილია**